ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №14

2015 წლის 27 აგვისტო

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
ნარჩენების მართვის სამოქმედო ტერიტორიის
განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" 33-ე მუხლისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს,

მუხლი 1.

ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობით ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურებისათვის საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" 33-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა პირს დაეკისრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015წლის 20 მარტის N07 დადგენილების მეორე მუხლით დამტკიცებული დანართი N2-ის შესაბამისად ქალაქ ქობულეთის ცენტრალური და შუალედური ზონების ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებისათვის.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე